ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის დამტიკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 260,5 ათასი ლარი, საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის სხვადასვა განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 7 021,0 ათასი ლარი, აქედან მიზნობრივი ტრანსფერის სახით 352,1 ათ. ლარი (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) და 6 668,9 ათასი ლარი კაპიტალური ტრანსფერის სახით, (მ. შ. საქ. რეგ. განსახორცილებელი პროექტების ფონდიდან ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორცილებლად გამოიყო 4 418,9 ათ. ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 950,0 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ინფარსტრუქტურის გასაუმჯობესებლად 410,0 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განსახორციელებელად 890,0 ათ. ლარი)

აღნიშნულის გამო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის წლიური შემოსულობები გაიზარდა და განისაზღვრა 15 281,5 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტის შემოსულობები განხორციელებული ცვლილებების გათალისწინებით განისაზღვრა 8 341,4 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა განვლილ ექვს თვეში მიიღი 4 897,4 ათასი ლარის შემოსულობები და ექვსი თვის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 58,7 %-ით.

შემოსულობების გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, რომელიც უკავშირდება ახალი კორონა ვირუსის „COVID -19" -ის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილ საგანგებო მდგომარეობით გამოწვეულ ამბებს. რის გამოც მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წლის ექვს თვეში გასულ წელთან შედარებით მიიღო 993,2 ათასი ლარით ნაკლები შემოსულობები. (2019 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს მიღებული ქონდა 5 890,6 ათასი ლარის შემოსულობები.)

გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 3 236,3 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 3115,4 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 200,0 ათასი ლარის ნაცვლად 942,8 ათასი ლარი, 742,8 ათასი ლარით მეტი; არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაუგეგმავად 0,8

ათასი ლარი არის მიღებული, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 3 036,3 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 2 171,9 ათასი ლარი, გადასახადების გეგმა შესრულებულია 96,3 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 864,4 ათასი ლარი, რაც მთლიანად მოდის დღგ-ს გეგმის შეუსრულებლობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები ექვს თვეში დაგეგმილი იყო 4 321,3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 1 401,1 ათასი ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია სრულად 422,3 ათასი ლარი, (მ. შ. მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 352,1 ათ. ლარი და საზჯანდაცვისა და სამხედრო სამსახურის უფლებამოსილებების განხორციელებისათვის 70,2 ათასი ლარი);

კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 3 889,0 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 978,8 ათასი ლარი, ვინაიდან დაგეგმვა და ვალდებულებების აღება ხდება დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, ხოლო თანხის ჩამორიცხვა ხდება შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

სხვა შემოსავლების ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 774,8 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 367,5 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, 47,4 %, აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი დაგეგმილი 2,8 ათასი ლარიდან მიღებულია 16,1 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან 27,2 ათასი ლარის ნაცვლად 17,0 ათასი ლარი, ვინაიდან კორონა ვირუსის გამო მოიჯარეებს გადაუვადდათ საიჯარო ქირა, სანებართვო მოსაკრებელი 0,8 ათასი ლარის ნაცვლად 19,1 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი მიღებულია 19,0 ათასი ლარის ნაცვლად 2,4 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 725,0 ათასი ლარის ნაცვლად 294,1 ათასი ლარი, აღნიშნულ სახეში მიღებული შემოსავლების სიმცირე ჩუმათელეთი - ზესტაფონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისა და ქვეყანაში დაწესებული საგანგებო მდგომარეობის შემოღებით არის გამოწვეული.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები ექვს თვეში დაგეგმილი 9,0 ათასი ლარიდან შემოსულია 13,3 ათასი ლარი, აქედან 10,7 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 2,6 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ექვსი თვის საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენს 4020,1 ათას ლარს (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) ფაქტიურად მიღებულია 3 496,3 ათასი ლარი, ე.ი. საკუთარი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 87,0 %-ით, გეგმის შესრულება დააკლდა 523,8 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობები.

2020 წლის პირველი იანვრისათვისათვის არსებული სახსრების 4 988,9 ათასი ლარის ნაშთიდან უკვე გადანაწილებულია წლიური ხარჯების დასაფარავად 4 773,1 ათასი ლარი (3 713.5 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან და 1059.6 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთიდან) მათ შორის ექვსი თვის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მიმართულია 3 543,7 ათასი ლარი, მ. შ 2 857,3 ათასი ლარი არის სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 686,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის დამტიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 402,0 ათ. ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი გახდაა 20 054,6 ათასი ლარით, გადასახდელების გეგმა გაიზარდა 11 652,6 ათასი ლარით, მ. შ. 2020 წელს სახელმწიფი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სასრებიდან 7 021,0 ათასი ლარი, ხოლო წინა წლების ნაშთებიდან 4 631,6 ათასი ლარი;

ექვსი თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 11 885,2 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 5 684,1 ათასი ლარი, გადასახდელები დაფინანსებულია 47,8 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2020 წლის ექვს თვეში ხარჯები შემცირებულია 611,7 ათასი ლარით, გასული წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული იყო 6 295,8 ათასი ლარი,

გადასახდელებში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხები წლიური გეგმიდან ათვისებულია 18,8 %, ხოლო ექვსი თვის გეგმიდან 28,3 %-ი; 2019 წლის ექვს თვესთან შედარებით სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვა შემცირებულია 768,7 ათასი ლარით. (2019 წლის ექვს თვეში სახელმწიფო ფონდებიდან დახარჯული იყო 2 800,2 ათასი ლარი)

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე პროგრამული კოდი 01 00 დაგეგმილი 1 301,3 ათასი ლარიდან გაწეულია 1 156,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 88,8 %-ით. გასულ წლის ექვს თვეში დახარჯული იყო 1 154,9 ათასი ლარი, ძალზედ უმნიშვნელოდ (1,2 ათ. ლარი) არის გაზრდილი მმართველობის ხარჯები.

მ.შ.

- **01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები** ექვს თვეში განსაზღვრული 319,4 ათასი ლარიდან გაწეულია 301,9 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,5 ათ. ლარით ნაკლები და დაფინანსებულია 94,5 პროცენტით;

- **01 01 02 მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები** დაგეგმილი 882,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 777,8 ათასი ლარი, გასულ წელთან შედარებით 26,8 ათასი ლარით ნაკლები, და დაფინანსებულის 88,2 პროცენტით;

- **01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**ს მიერ დაგეგმილი 40,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 35,0 ათასი ლარი, მ.შ. 31,8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 3,2 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამხედრო სამსახურის შესანახი ხარჯები შემცირებულია 2,9 ათასი ლარით;

01 02 01 - მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2020 წლის ექვს თვეში თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით გამოიყო 40 800 ლარი, აქედან 31 200 ლარი მთლიანად მოხმარდა ახალი კორონა ვირუსის ,,COVID -19" გავრცელების აღკვეთის მიზნით ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო მოქალაქეთა დახმარებას, ერთჯერადი და ყოველთვიური დახმარების სახით.

5 600 ლარი მიმართული იქნა შშმ პირთა დახმარებაში და 4 000 ლარი სამკურნალო-საოპერაციო ხარჯების პროგრამაში;

- 01 02 02 სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველოფაზე თვითმმართველობის დავალიანების ფონდიდან მიმდინარე წლის ექვს თვეში გამოყოფილი იყო 62 119 ლარი, საიდანაც 21 257 ლარი მიიმართა შ.პ.ს. ,,დალა-73-ის სასარგებლოდ, 40 862 ლარი შ.პს. ,,ბორი -85 -ის" სასარგებლოდ და 12 100 ლარი ლაშის ადმ. ერთეულის წარმომადგენლის კ. კვინიკაძის სასარგებლოდ.

-01 02 03 ვალდებულებების მომსახურეობაზე მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაურიცხა კუთვნილი სავადო გადასახდელი 41,5 ათასი ლარი, აქედან 25,5 ათასი ლარი სესხის და 16,0 ათასი ლარი პროცენტის სახით.

2. ინფრასტრუქტურის განვითრება პროგრამული კოდი 02 00 2020 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 7 462,7 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 975,0 ათასი ლარით, რაც გასული წლის ექვსი თვის შედეგებზე 618,9 ათასი ლარით ნაკლებია, გასულ წელს აღნიშნულ პროგრამას შესაბამის პერიოდში მოხმარდა 2 594,0 ათასი ლარი. მიმდინარე წლის ათვისება ექვს თვის გადასახდელებთან არის 26,5 % და წლიურ გადასახდელებთან 17.5 %; მ. შ

- **02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე** პროგრამული კოდი 02 01 დაგეგმილი 6 887,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 756,4 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის ექვს თვეში

2 489,8 ათასი ლარი ე.ი. მიმდინარე წლის ექვს თვეში 733,4 ათასი ლარით ნაკლები მოხმარდა ამ ქვეპროგრამას.

მათ შორის: 02 01 01 გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 5 985,0 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 5 975, 4 ათას ლარზე და ფაქტიურად დახარჯულია 1 473,6 ათასი ლარი, აქედან 1 350,9 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 122,7 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. ამასთან მიმდინარე წლის სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფლ სახსრებზე აღებულია 3141,5 ათ. ლარის ვალდებულება და დახარჯულია 812,7 ათ. ლარი (საქ. მთავრობის N 2630 განკ. და და საქ. მთვარობის N 325 განკ. სტიქის შედგ. ლიკვიდაცია) ხოლო წინა 2017-2018-2019 წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან აღებულია 2 411,7 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 538,2 ათასი ლარი.

02 01 02 გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 46,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 19,3 ათასი ლარი. მ. შ. სახ. ფონდების ნაშთიდან აღებულია 20,0 ათასი ლარის ვალდებულება, დახარჯულია 1,0 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან აღებულია და გადარიცხულია 18,3 ათასი ლარი.

02 01 04 ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 839,3 ათასი ლარიდან აღებულია 801,4 ათასი ლარის ვალდებულებები, აქედან 595,3 ათ. ლარი მთლიანად სახ. ფონდების სახსრებით, მ. შ. 202 წლის N 325 განკ. 300,0 ათასი ლარი, წინა წლების სახ. ფონდების ნაშთებიდან 295,3 ათ. ლარი, ფაქტიურად სახ. ფონდებიდან გადარიცხულია 217,2 ათასი ლარი; საკ. სახსრებით ექვს თვეზე აღებულია 206,1 ათასი ლარის ვალდებულება და გადარცხულია 44,3 ათასი ლარი.

02 01 05 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია დაგეგმილი 17,0 ათასი ლარიდან ექვს თვეში აღებულია 5,0 ათასი ლარის ვალდებულება და ფაქტიურად გადარიცხულია 2,0 ათასი ლარი.

02 02 წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე ექვს თვეში დაგეგმილი 75,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 58,0 ათასი ლარი, 76,6 %, მათ შორის უშუალოდ წყლის სისიტემის მოსაწესრიგებლად საკუთარი სახსრებით გაწეულია 33,3 ათასი ლარი, სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოსაწყობად სახ. ფონდების სახსრებით 24,7 ათ. ლარი.

02 03 გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 93,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 74,9 ათასი ლარი;

02 04 მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილია და აღებულია 24,8 ათასი ლარის ვალდებულება, ფაქტიურად მიმდინარე წლის ექვს თვეში ფაქტიურ ხარჯი არ გაწეულა.

02 05 კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციზე დაგეგმილი 55,9 ათ. ლარიდან აღებულია სრულად 55,9 ათ. ლარის ვალდებულება, აქედან სახ. ფონდების სახსრებიდან 53,7 ათასი ლარზე და საკ. სახსრებით 2,3 ათ. ლარზე, ხოლო ფაქტიურად გადარიცხულია 12,6 ათასი ლარი, მ. შ 12,0 ათ. ლარი სახ. ფონდების სახსრებიდან და 0,6 ათ. ლარი საკუთარი სახსრებით.

02 08 სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1007,9 ათასი ლარი, აქედან მიმდინარე წელს მუნიციპალიტს გამოეყო 890, 0 ათ. ლარი, 42,5 ათასი ლარი არის წინა წლის პროგრამის ნაშთი, ხოლო 75,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით არის გათვალისწინებული. ექვს თვეში დაგეგმილი 325,7 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 319,6 ათ. ლარზე, ფაქტიურად გაწეულია 73,1 ათასი ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 0,6 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 72,5 ათასი ლარი.

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვაზე ექვს თვეში დაგეგმილი 488,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 447,6 ათ. ლარი, მ. შ

03 01 დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე 393,8 ათასი ლარიდან 369,2 ათასი ლარი;

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 88,7 ათასი ლარიდან 77,1 ათასი ლარი;

03 03 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის 6,0 ათასი ლარიდან 1,3 ათასი ლარი.

04 00 განათლებაზე 2020 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 1143,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 914,8 ათასი ლარი და დაფინანსებულია 80,0 პროცენტით, განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაწეულია 34,1 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი. გასული წლის ექვს თვეში განათლებას მოხმარდა 948,9 ათასი ლარი;

მ.შ.

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დაგეგმილი 668,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 574,6 ათასი ლარი;

04 03 მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურეობაზე 215,7 ათასი ლარიდან 210,0 ათ. ლარი;

04 04 სკოლების რეაბილიტაციაზე 2020 წელს გათვალისწინებული 476,0 ათასი ლარიდან საქ. მთავრობის N 27 განკარგულებით 410,0 ათ. ლარი არის მიმდინარე წელს გამოყოფილი, ხოლო 66,0 ათ. ლარი საქ. მთავრობის წინა წლის N 13 განკარგულების ნაშთიდან არის გადმოტანილი, ექვს თვეში დაგეგმილი 165,2 ათ. ლარიდან აღებულია 155,9 ათასი ლარის ვალდებულება და ფაქტიურად გადარიცხულია 40,3 ათასი ლარი.

04 05 ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე (ინტერნატი) ექვს თვეში დაგეგმილი 39,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 37,1 ათასი ლარი.

04 06 სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე დაგეგმილი 55,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 52,9 ათასი ლარი.

05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 803,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 636,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 79,3 პროცენტით, გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამის დაფინანსებას მოხმარდა 24,8 ათასი ლარით ნაკლები, გასული წლის ექვს თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 636,5 ათასი ლარი.

05 01 სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ექვს თვეში მოხმარდა 201,3 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,7 ათასი ლარით მეტი, სხვაბა გამოწვეულია მიმდინარე წელს სპორტული ობიექტების რეაბილიტაციით.

მ. შ.

05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 2,1 ათასი ლარი;

05 01 02 სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობაზე 164,1 ათასი ლარი;

05 01 04 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვაზე დაგეგმილია და აღებულია 125,0 ათასი ლარის ვალდებულება, ფაქტიურად გადარიცხულია 35,0 ათასი ლარი.

05 02 კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 412,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 367,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 88,9 პროცენტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კულტურის გავითარებას 27,6 ათასი ლარით ნაკლები მოხმარდა, 2019 წლის ექვს თვეში 399,0 ათასი ლარია კულტურის განვითარებაზე გაწეული. აქედან:

05 02 01 01 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე დაგეგმილი 63,4 ათასი ლარიდან დაიხარჯა 58,7 ათასი ლარი, 92.5 %;

05 02 01 02 კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობაზე 333,1 ათასი ლარიდან 297,0 ათასი ლარი, 89.2 %;

05 02 01 03 ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე გეგმით და ფაქტიურად 10,4 ათასი ლარი, 100%;

05 02 02 კულტურის ღონისძიებების დაფინანსებაზე 3,5 ათასი ლარიდან 1,0 ათასი ლარი, 28,6%;

05 03 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე 26,0 ათასი ლარიდან 25,0 ათასი ლარი,96,2%;

05 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 40,0 ათასი ლარი, 100%;

05 05 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 5,0 ათასი ლარიდან 3,2 ათასი ლარი, 63,3 %;

06 00 ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე ექვს თვეში დაგეგმილი 685,7 ათასი ლარიდან დაიხარჯა 554,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 80,8 % - ით. ამ პროგრამით მიმდინარე წელს გასულის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 142,0 ათასი ლარით მეტია გაწეული, 2019 წლის ექვს თვეში 412,1 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან:

06 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 67,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 62,8 ათასი ლარი, მ. შ. 36,1 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 26,8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

06 02 ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვაზე დახარჯულია 0,4 ათასი ლარი;

06 03 სოციალურ პრგრამებით დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 839,0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული ქვეპროგრამა გაიზარდა 133,2 ათასი ლარით და განისაზღვრა 972,2 ათასი ლარით. ექვს თვეში დაგეგმილი 616,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 490,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 79,6 %-ით, გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით სოციალური პროგრამებზე საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ფაქტიური ხარჯები გაზრდილია 194,0 ათასი ლარით ათასი ლარით, 2019 წლის პირველ კვარტალში საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით სოციალურ პროგრამებზე დახარჯულია 296,9 ათასი ლარი.

აქედან,

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 188,4 ათასი ლარიდან აღებულია 160,5 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 150,7 ათასი ლარი, აქედან 4,0 ათასი ლარი თვითმართველობის სარეზერვო ფონდის ხარჯზე.

06 03 02 კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარებაზე 3,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 2,0 ათ. ლარი;

06 03 03 შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 22,6 ათასი ლარიდან აღებულია 21,6 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 19,4 ათასი ლარი;

06 03 04 ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი შედაგენდა 60, ათას ლარს, განხოციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული ქვეპროგრამა გაიზარდა 72,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 132,0 ათასი ლარი, ექვსი თვის 87,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 77,7 ათასი ლარი, მ. შ. 5,6 ათასი ლარი თვითმმართველობის სარეზერვო ფონდის ხარჯზე.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე დაგეგმილი 17,6 ათასი ლარიდან ვალდებულება სრულად არის აღებული და ფაქტიურად გადარიცხულია 13,6 ათასი ლარი;

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 7,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 7,1 ათასი ლარი;

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარებაზე 1,5 ათასი ლარიდან 0,8 ათასი ლარი;

06 03 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 4,0 ათასი ლარიდან 3,1 ათასი ლარი;

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე 24,1 ათასი ლარიდან 18,2 ათასი ლარი;

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 4,0 ათასი ლარი სრულად არის გადარიცხული;

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარების პროგრამაზე გეგმით და ფაქტიურად დახარჯულია 1,0 ათასი ლარი;

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე დაგეგმილი 23,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 8,5 ათასი ლარი;

06 03 13 სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამაზე 3,3 ათასი ლარი;

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაზე დაგეგმილი 15,0 ათასი ლარიდან გაწეულია 8,7 ათასი ლარი;

06 03 17 სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე ექვს თვეში დაგეგმილი 130,0 ათასი ლარიდან გაწეულია 114,8 ათასი ლარი;

06 03 18 უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დაგეგმილი 70,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 58,0 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის ექვს თვეში გაწეული 5 684,1 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 1 815,2 ათასი ლარი 31,9 % და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 665,0 ათასი ლარით, 2019 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს არაფინანსური აქტივების ზრდაზე 2 480,2 ათასი ლარი ქონდა დახარჯული.

გადასახდელების 67,6 % ე.ი. 3 843,5 ათასი ლარი კი მიმართულია ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის:

შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 831,2 ათასი ლარი ანუ ხარჯების 21,6 %;

საქონელზე და მომსახურებაზე 522,1 ათასი ლარი - 13,6 %;

აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 86,4 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 4,1 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 56,5 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 1,8 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 264,7 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 108,6 ათასი ლარი.

სუბსიდირებაზე 1852,4 ათასი ლარი - 48,2 %;

პროცენტების გადახდაზე 15,9 ათასი ლარი - 0,3 % ;

გრანტებზე 19,1 ათასი ლარი - 0,5 %;

სოციალურ უზრუნველყოფაზე 336,5 ათასი ლარი - 8,7 %;

სხვა ხარჯებზე 266,3 ათასი ლარი - 6,9 %.

გასული წლის ექვს თვესთან შედარებით ხარჯები თითქმის ყველა სახეში არის შემცირებული გარდა სოციალური უზრუნველყოფის, სხვა ხარჯების და დარიცხული პროცენტისა.